ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი
სამართლის სკოლა
საბაკალავრო პროგრამა

კურიკულუმი

ფაკულტეტის/სკოლის დასახელება	**სამართლის სკოლა**
პროგრამის დასახელება	**კერძო (ბიზნეს) სამართალი**
მისანიჭებელი აკადემიური ხარისხი/კვალიფიკაცია	**კერძო სამართლის მაგისტრი (Master of Private Law)**
პროგრამის ხანგრძლივობა /მოცულობა(სემესტრი, კრედიტების რაოდენობა)	**120 ECTS კრედიტი** **4 სემესტრი** (1 კრედიტი = 25 საათი)
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელი/ხელმძღვანელები	დავით მაისურაძე - ასოცირებული პროფესორი
პროგრამის შემუშავების თარიღი და განახლების საკითხი	პროგრამა შემუშავებულია 2012 წელს და განახლებულია 2024 წელს პროგრამა შესაძლოა განახლდეს ყოველი სასწავლო სემესტრის დასაწყისში, სწავლა-სწავლების პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები (მოთხოვნები)

პროგრამის სტუდენტი შეიძლება გახდეს სამართლის ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი. სამაგისტრო პროგრამაზე სწავლების უფლებით სარგებლობენ პირები, რომლებსაც ჩაბარებული აქვთ საერთო სამაგისტრო გამოცდა და შიდასაუნივერსიტეტო გამოცდა (კერძო სამართალში (წერითი გამოცდა კაზუსი, ესე)- 60 % ; , ინგლისური B2 გამოცდა- 40 % .)იხ. დანართი 3)

შიდასაუნივერისტეტო გამოცდის შესახებ შესაბამისი ინფორმაცია დაიდება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე www.iliauni.edu.ge .

პროგრამის მიზნებ

პროგრამის მიზანია მოამზადოს კონკურენტუნარიანი სპეციალისტი კერძო (ბიზნეს) სამართლის სფეროში, რომელსაც .

ა)ექნება სიღრმისეული ცოდნა კერძო (ბიზნეს) სამართლის თანამედროვე ტენდენციების, გამოწვევებისა და პრობლემების შესახებ;

ბ) შეძლებს კერძო სამართლის სფეროში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის ეფექტური გზების (მათ შორის ორიგინალური კვლევის საფუძველზე) დამოუკიდებლად განსაზღვრას და ორიგინალური სამართლებრივი დასკვნების შემუშავებას ;

დ) შეძლებს, პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში მონაწილეობას;

ე) შეძლებს ეფექტურ კომუნიკაციას პროფესიულ და აკადემიურ აუდიტორიასთან აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით;

ე) იმოქმედებს ავტონომიურად, ეთიკის ნორმების დაცვით.

სწავლის შედეგები და კომპეტენციები (დარგობრივი)
1. აღწერს კერძო სამართლის ეროვნული და უცხოური სამართლის მიღწევებს, განვითარების პერსპექტივებსა და ძირითად ტენდენციებს, ასევე საერთაშორისო და ეროვნული სამართლის ურთიერთკავშირისა და ურთიერთმიმართების პრობლემებს; 2. აღწერს თანამედროვე იურიდიული მეცნიერების მეთოდოლოგიურ ცნებებსა და პრინციპებს, იურიდიული მეცნიერების აქტუალურ პრობლემებს, ასევე სამეცნიერო კვლევის თანამედროვე დარგობრივ მეთოდებს, აკადემიური პატიოსნების წესებსა და აკადემიური ეთიკის საკითხებს, ასევე პროფესიული სამეცნიერო ტექსტების შექმნის ძირითად წესებსა და პრინციპებს; 3. აღწერს თანამედროვე კერძო სამართლის ეროვნული კანონმდებლობის განვითარების ტენდენციებს, გამოწვევებს და ხარვეზებს, ასევე მისი სრულყოფისა და გადაწყვეტის ძირითად გზებს; 4. აღწერს კერძო სამართლის პრაქტიკული პრობლემების გადაწყვეტის ძირითად მეთოდოლოგიურ პრინციპებს, ეროვნული და უცხოური გამოცდილებისა და უახლესი ეროვნული და საერთაშორისო სასამართლო პრაქტიკის განზოგადებით; 5. აღწერს სამოსამართლო ეთიკის წესებს, მათ შორის მოსამართლის საზოგადოებასთან კომუნიკაციის საკითხებსა და მოსამართლეთა დისციპლინური სამართალწარმოების თავისებურებებს; 6. ხსნის ევროკავშირის სამართლის გავლენის მნიშვნელობას ქართული კერძო სამართლის განვითარებაზე; 7. განსაზღვრავს შედარებითი სამართლის არსსა და შედარებით სამართლებრივი მეთოდის გამოყენების დანიშნულებას; 8. აანალიზებს კერძო სამართალში მოქმედ კანონმდებლობას, სასამართლო პრაქტიკას, საკანონმდებლო ნოვაციებს, უახლეს მეცნიერულ კვლევებს და პრაქტიკაში არსებული კომპლექსური პრობლემების გადაჭრის გზების ან/და კანონმდებლობის სრულყოფის თაობაზე შეიმუშავებს საკუთარ ორიგინალურ სამართლებრივ დასკვნებს; 9. აფასებს იურიდიული შემთხვევის ფაქტობრივ გარემოებებს, არასტანდარტულ სამართლებრივ სიტუაციებს, პოულობს სამართლებრივ ხარვეზებს, რთულ პრობლემებს და აყალიბებს მათი გადაწყვეტის ახალ, ორიგინალურ გზებს; განსაზღვრავს საკუთარი გადაწყვეტილებების დადებით და უარყოფით შედეგებს; 10. განმარტავს სამართლის ნორმებს პროფესიულ დონეზე, შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო სამართლის ნორმების შედარებითი ურთიერთკავშირის საფუძველზე; 11. ამოიცნობს აქტუალურ სამეცნიერო სამართლებრივ პრობლემას კერძო სამართალში, შეიმუშავებს მისი გადაწყვეტის სამეცნიერო გზებს, კერძო სამართლის აქტუალურ საკითხებზე გეგმავს სამეცნიერო-კვლევით პროცესს, ახდენს კვლევის უახლესი მეთოდებისა და მიდგომების გამოყენებით სხვადასხვა წყაროებიდან, მათ შორის უცხოური სამართლებრივი საინფორმაციო რესურსებიდან, მიღებული პირველადი მონაცემების, რთული ან არასრული ინფორმაციის სისტემატიზაციას და აკადემიური ეთიკის სტანდარტების დაცვით შეიმუშავებს სამეცნიერო კვლევით ნაშრომს; 12. ახდენს აკადემიურ, ასევე კომპლექსურ და პროფესიულ საზოგადოებასთან საკუთარი კვლევის შედეგების, დასკვნებისა და არგუმენტების თაობაზე წერით და ზეპირ კომუნიკაციას, აკადემიური კეთილსინდისირების პრინციპების დაცვით. 13. პატივს სცემს სამოსამართლო ეთიკის სტანდარტებს, მოსამართლის ღირებულებებით ასპექტებს (მიუკერძოებლობა, შეუვალობა, თანასწორობა, კომპეტენცია და გულისხმიერება) და საჭიროების შემთხვევაში მონაწილეობს აღნიშნული ღირებულებების განვითარებაში, მხარეთა ინტერესების სამართლიანად დაბალანსების უზრუნველსაყოფად; 14. აღიარებს და პატივს სცემს აკადემიური პატიოსნების წესებს, სამეცნიერო კვლევის ეთიკურ შედეგებს, იღებს სახელმძღვანელო მითითებებს კომპლექსური, არაპროგნოზირებადი ან მულტიდისციპლინური მასალისა თუ გარემოს სამართავად, მათ შორის, გეგმავს და მართავს სამუშაო დროს, შეიმუშავებს სტრატეგიულ მიდგომას კვლევასთან მიმართებით, ნაშრომის მოსამზადებლად;

15. მონაწილეობს პროფესიული ცოდნისა და სამართლებრივი პრაქტიკის განვითარებაში, იყენებს სტრატეგიულ მიდგომებს და/ან პრობლემის გადაჭრის ინოვაციურ გზებს, ეხმარება კოლეგებს და უზიარებს მათ საკუთარ გამოცდილებას;
16. ავლენს უახლესი ინფორმაციის ავტონომიურად მოძიებისა და სამართლის სფეროში სწავლის დამოუკიდებლად წარმართვის უნარს;
17. იღებს პასუხისმგებლობას საკუთარი და სხვების საქმიანობასა და პროფესიულ განვითარებაზე, ქმნის პირობებს საერთო გუნდური გადაწყვეტილების მისაღწევად;
18. გამოხატავს პატივისცემას დემოკრატიული ღირებულებებისადმი, აღიარებს დემოკრატიის პირობებში ბალანსის აუცილებლობას თავისუფლებასა და პასუხისმგებლობას შორის.

კომპეტენციების რუკა იხ. დანართი 1;

პროგრამის სტრუქტურა

პროგრამა მოიცავს 120 კრედიტს, რომელთა განაწილება ითვალისწინებს:

სავალდებულო კომპონენტს - 84 კრედიტი (მათ შორის, სამაგისტრო ნაშრომი, აკადემიური წერა იურისტებისთვის):

არჩევით და თავისუფალ კომპონენტებს - 36 კრედიტი (მოიცავს სამართლის არჩევით კურსებსა და თავისუფალ კომპონენტებს)

პროგრამა დაყოფილია სამ ბლოკად - საკორპორაციო სამართლის ბლოკი; საფინანსო სამარ თლის ბლოკი; საერთაშორისო და შედარებითი კერძო სამართლის ბლოკი. პროგრამაში ასევე გათვალისწინებულია მედიაციის ბლოკი (მოდული), რომლის არჩევის შემთხვევაში სტუდენტი სავალდებულოდ გაივლის მედიაციის მოდულის 5 კურს და სამართლის არჩევითი კურსებიდან ერთ-ერთს.

კურსების დეტალური ჩამონათვალი იხ. დანართი 2.
სილაბუსები იხ. დანართი 4.

სწავლების მეთოდები

სასწავლო პროგრამაში გამოიყენება სწავლების შემდეგი მეთოდები:

- ინტერაქციული ლექციები და სემინარები;
- დისკუსია/დებატები
- ჯგუფური მუშაობა
- პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)
- თანამშრომლობითი (cooperative) სწავლება
- შემთხვევის ანალიზი (Case study)
- კაზუსის ამოხსნა
- გონებრივი იერიში (Brain storming)
- როლური და სიტუაციური თამაშები (იმიტირებული პროცესი)
- დემონსტრირების მეთოდი
- ანალიზი და სინთეზი;
- პრაქტიკული მუშაობის მეთოდი/პროექტი;
- სუპერვიზია და რეფლექსია.

პერსონალი (მოწვეული ლექტორი/მკვლევარი/აკადემიურიუ პერსონალი) შესაძლოა იყენებდეს ზემოთჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო ამოცანიდან გამომდინარე.

შენიშვნა: პროგრამის სხვადასხვა კომპონენტში გამოყენებული სწავლების მეთოდები მითითებულია შესაბამის სილაბუსებში.

შეფასების წესი

შეფასება 100 ქულიანი სისტემით მიმდინარეობს.

სისტემა უშვებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:
(A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
(B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
(C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
(D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
(E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ორი სახის უარყოფით შეფასებას:
(FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
(F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

შეფასების მეთოდები, კომპონენტები, მინიმალური კომპეტენციის ზღვრები, შეფასების კრიტერიუმები და მათი ხვედრითი წილი წარმოდგენილია სასწავლო კურსების სილაბუსებში.

სწავლების პროცესში განმავითარებელი უკუკავშირის მიღებისთვის, სტუდენტებს შეეძლებათ ისარგებლონ ლექტორებთან საკონსულტაციო შეხვედრებით, ამ მიზნით გამოყოფილი საკონსულტაციო საათის ფარგლებში ან ინდივიდუალური შეთანხმების საფუძველზე.

დასაქმების სფეროები

შეუძლია საქმიანობის განხორციელება კერძო სექტორში, იურიდიულ კომპანიებში, განსაკუთრებით ბიზნეს სამართლის მიმართულებით. მოსამართლის პროფესიით საქმიანობისთვის, კურსდამთავრებულმა უნდა დააკმაყოფილოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნები. პროგრამის კურსდამთავრებული ასევე შეძლებს სწავლა გააგრძელოს სადოქტორო საფეხურზე.

სწავლისათვის აუცილებელი დამხმარე პირობები/რესურსები

- სასწავლო პროცესის მართვის სისტემა „არგუსი“;
- პროგრამა „Turnitin“ და “Moodle“;
- უნივერსიტეტის ბიბლიოთეკა (მათ შორის ელექტრონული ბაზები);
- უნივერსიტეტის კომპიუტერული ცენტრები;
- სალექციო აუდიტორიები;
- სამართლის სკოლის კლინიკები.
- სამართლის სკოლის კვლევითი ცენტრები;